დანართი N1

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება“

წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი, იურიდიული სტატუსი და ადგილსამყოფელი

1 . ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება არის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც დამოუკიდებლად ახორციელებს საგანმანათლებლო, აღმზრდელობით, შემოქმედებით, სულიერ ,ზნეობრივ საქმიანობას და წარმოადგენს მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი დაწესებულებების ადმინისტრაციულ გაერთიანებას.

2. სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, შემოკლებით ა(ა)ი.პ.

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სრული სახელწოდებაა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება“.

4. სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კანონებით, სხვა სამართლებრივი აქტებითა და ამ წესდებით.

5. დაწესებულებას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები შესაბამის საბანკო დაწესებულებებში, ბეჭედი, ემბლემა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები. ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტის ანგარიშზე.

6. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

7. სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების იურიდიული მისამართია: დაბა ხარაგაული სოლომონ მეფის ქ. N14; ტელეფონი: (433) 22-11-60; ელ.ფოსტა: xaragaulisbagebisgaertianeba@gmail.com

მუხლი 2. სკოლამდელი დაწესებულების ტიპი და მუშაობის შინაარსი

1. სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება არის საგანმანათლებლო - სააღმზრდელო დაწესებულება, რომელიც ერთდროულად ასრულებს ბაღისა და საბავშვო ბაღის სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროგრამებს 1 წლიდან სასკოლო ასაკის მიღწევამდე.

2. სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების ფუნქციონირება ნებადართულია სახელმწიფო მოთხოვნათა დაცვით აგებულ კაპიტალურ ან შეგუებულ შენობებში, რომლებიც აკმაყოფილებენ სკოლამდელი დაწესებულებისათვის საჭირო ყველა მოთხოვნებს.

3. ჯგუფის დაკომპლექტება :

ა) 1-2 წელი არა უმტეს 12-15 აღსაზრდელისა ;

ბ) 2-3 წელი არა უმეტეს 20-23 აღსაზრდელისა;

გ) 3-4 წელი არა უმეტეს 25 აღსაზრდელისა;

დ) საშუალო ჯგუფი 4-5 წელი არაუმეტეს 30 აღსაზრდელისა;

ე) უფროსი ჯგუფი არაუმეტეს 30-35 აღსაზრდელისა;

ვ) შერეული ჯგუფი არაუმეტეს 25-30 აღსაზრდელისა.

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებათა გერთიანება აერთიანებს ხარაგაულის ტერიტორიაზე განთავსებულ ყველა სკოლამდელ დაწესებულებას.

მუხლი 3. სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების მიზანი , ფუნქციები და უფლება-მოვალეობანი

1. სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების მიზანია: მოამზადოს ბავშვი სკოლისათვის. საფუძველი ჩაუყაროს მისი აზროვნების, ემოციური სამყაროს და ნებისყოფის ფორმირებას, მის ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას, სხვისი აზრისა და საკუთრების პატივისცემას, ეროვნული პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას, ჰუმანური შემოქმედებითი უნარების ჩამოყალიბებას, მოზარდის სიცოცხლის დაცვას, ჯანმრთელობის განმტკიცებას, სწორი საგანმანათლებლო პროცესის წარმართვას, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ოჯახთან ურთიერთკავშირის დამყარებასა და მათთვის დახმარების გაწევას.

2. სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას უფლება აქვს :

ა) წარმართოს თავის საქმიანობა დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვით საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო (შემოწირულობანი და სხვა) დაფინანსების ფარგლებში.

ბ) აწარმოოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა სკოლამდელი დაწესებულების საფინანსო-ეკონომიური საქმიანობის აღრიცხვა.

გ) შეიმუშაოს და განახორციელოს სააღმზრდელო საგანმანათლებლო პროგრამა და განახორციელოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ (დაქვემდებარებული) სკოლამდელ დაწესებულებებში.

დ) ითანამშრომლოს საქართველოს ტერიტორიაზე და საზღვარგარეთ არსებულ სკოლამდელ დაწესებულებებთან.

ე) დანერგოს სკოლამდელი დაწესებულებისა და ოჯახის ოპტიმალური ურთიერთობის ფორმები.

ვ) სკოლამდელი დაწესებულებისა და სკოლის სასწავლო პროგრამების მემკვიდრეობითობის პრინციპიდან გამომდინარე ითანამშრომლოს სკოლასთან.

ზ) მოიძიოს დაფინანსების დამატებითი საშუალებები (მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში).

თ) მოაწყოს, თავად გამართოს და მონაწილეობა მიიღოს კომერციულ ან საქველმოქმედო ღონისძიებებში.

ი) დაადგინოს მატერიალური წახალისების ფორმები გაერთიანებაში დასაქმებულ მოსამსახურეებზე;

კ) შეიმუშაოს სკოლამდელ დაწესებულებათა შინაგანაწესი.

ლ) მოთხოვნათა შესაბამისად განსაზღვროს მცირე ასაკობრივი ჯგუფების შექმნა.

მ) უზრუნველყოს გაწეული საქმიანობის ანგარიშების წარმართვა.

ნ) უფლებამოსილია გამოიყენოს და განკარგოს მასზე რიცხული ქონება და ფინანსური სახსრები, გადაწყვიტოს მის კომპეტენციაში შემავალი ყველა საკითხი, დადოს გარიგებანი და გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ სასამართლოში.

3. სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება ვალდებულია:

ა) დაიცვას ბავშვის სიცოცხლე და ჯანმრთელობა;

ბ) არსებული დაფინანსების პირობებში უზრუნველყოს ბავშვთა სრულფასოვანი კვება;

გ) იზრუნოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაზე;

დ) იზრუნოს აღმზრდელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე;

ე) იზრუნოს შრომის შინაგანაწესისა და დღის რეჟიმის დაცვაზე;

ვ) წარმართოს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი, მოწინავე გამოცდილებისა და თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ზ) შეასრულოს მოქმედი კანონმდებლობიდან და დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებები;

თ) დაიცვას დადგენილი სტანდარტები;

ი) მოამზადოს და ჩაატაროს სემინარები, მეთოდური ლექციები და განვლილი თემის პრეზენტაციები;

კ) მონაწილეობა მიიღოს კულტურულ ღონისძიებებში;

ლ) იზრუნოს ახლებური ტექნოლოგიების და მუშაობის თანამედროვე ფორმების დანერგვასა და რეალიზაციაზე;

მ) უზრუნველყოს ბავშვთა სოციალური და ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნა და ამ გარემოში მათი ადაპტაცია.

მუხლი 4. სააღმზრდელო -საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზაცია

1. სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების სააღმზრდელო -საგანმანათლებლო პროცესი უნდა უზრუნველყოფდეს შესაბამისი სააღმზრდელო -საგანმანათლებლო პროგრამის შესრულებას.

2. სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზაციის ფორმები აისახება დაწესებულების შინაგანაწესში, რომელსაც პედაგოგიურ კოლექტივთან შეთანხმებით ამტკიცებს დირექტორი.

3. სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას უფლება აქვს მოწინავე გამოცდილებისა და ეროვნულ-პატრიოტული მიზნების გათვალისწინებით შექმნას საკუთარი სააღმზრდელო - საგანმანათლებლო პროგრამა, რომელსაც მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეთანხმებით ამტკიცებს დაწესებულების დირექტორი.

4. სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების შინაგანაწესში დაწვრილებით უნდა აისახოს დაწესებულებაში აღსაზრდელთა მიღებისა და გარიცხვის პირობები. საკუთარი სააღმზრდელო - საგანმანათლებლო რეჟიმი.

5.დირექტორი ვალდებულია, აღსაზრდელის დაწესებულებაში მიღებამდე მშობელს (კანონიერ წარმომადგენელს) გააცნოს დაწესებულების შინაგანაწესი.

მუხლი 5. სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების მართვა

1.სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

2. გაერთიანების დირექტორი:

ა) დირექტორი საქმეებს უძღვება ერთპიროვნულად ▯ ▯ ეკისრება წარმომადგენლობა ყველა ინსტანციაში. დირექტორი პასუხს აგებს სკოლამდელ დაწესებულებათა და გაერთიანების საქმიანობის სწორად წარმართვაზე, ბავშვის სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვაზე;

ბ) დირექტორს ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა სკოლამდელ დაწესებულებათა და გაერთიანების საკუთრებაში არსებულ ქონებაზე და ფულადი სახსრების მიზნობრივად და სწორად ხარჯვაზე, განაგებს მატერიალურ საშუალებებს;

გ) ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეთანხმებით განსაზღვრას საშტატო განრიგს და ხელფასის ფონდს;

დ) დადგენილი წესით ხსნის საბანკო ანგარიშს საბანკო დაწესებულებაში ;

ე) დირექტორი ერთპიროვნულად წყვეტს საკადრო საკითხებს, საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის შესაბამისად წარმართავს მის დაქვემდებარებაში მყოფი ერთეულების შრომით ურთიერთობებს, დებს ხელშეკრულებას გაერთიანების ადმინისტრაციულ, პედაგოგიურ და ტექნიკურ პერსონალთან დამტკიცებული საშტატო განრიგის მიხედვით;

ვ) დირექტორი ამტკიცებს სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების შინაგანაწესს, სამუშაო გეგმებს, გამოსცემს ბრძანებებს კანონის შესაბამისად. ახორციელებს მისი ფუნქციონირებისათვის აუცილებელ საქმიანობას.

ზ) დირექტორი გასცემს მინდობილობებს, დებს ხელშეკრულებებს და გარიგებებს იმ საკითხების ირგვლივ, რომლებიც არ სცილდება სკოლამდელი დაწესებულების საქმიანობის ფარგლებს;

თ) კანონის ფარგლებში მუშაკთა მიმართ იღებს დისციპლინურ და წამახალისებელ ზომებს, იცავს ბავშვთა, თანამშრომელთა და მშობელთა უფლებებს, სახელმწიფო ინტერესებს;

ი) დირექტორი პასუხს აგებს კანონმდებლობით დადგენილი სანიტარული პირობების დაცვაზე და კვების ორგანიზაციაზე;

კ) დირექტორის არყოფნის ან მის მიერ მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში დირექტორის მოვალეობას ასრულებს დირექტორის მოადგილე (გამონაკლის შემთხვევაში აღმზრდელი, ერთჯგუფიან ბაღში).

მუხლი 6. სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების ქონება და სახსრები

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას შეადგენს მასზე რიცხული ქონება გადაცემული ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ, უსასყიდლოდ, უზურფრუქტის წესით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების ფინანსურ სახსრებს შეადგენს :

ა) ასიგნებანი ადგილობრივი ბიუჯეტიდან;

ბ) გრანტისა და შემოწირულობის სახით მიღებული შემოსავალი;

გ) ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის ხელშეკრულების საფუძველზე სამუშაოს შესრულებით, ფასიანი მომსახურების გაწევით, შემოქმედებით და სხვა საქმიანობით მიღებული შემოსავალი;

დ) საქართველოს კანონმდებლობით შესაბამისად დადგენილი სხვა შემოსავალი.

ე) ზემოთ ჩამოთვლილი ყველა სახსრები გამოიყენება მხოლოდ ამ წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის.

მუხლი 7. სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

1.სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმის ფარგლებში შეუძლია განახორციელოს შემდეგი ქმედებები :

ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება, დატვირთვა;

ბ) სესხის აღება;

გ) საშტატო განრიგის და ხელფასის ფონდის განსაზღვრა;

დ) სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებაში მყოფ ქონებასთან დაკავშირებით, სხვა გადაწყვეტილების მიღება, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

მუხლი 8. სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების საქმიანობის აღრიცხვა ანგარიშგება

1. სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დადგენილ ვადაში წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს**.**

2. სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება აწარმოებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში არსებულ ყველა სკოლამდელ დაწესებულებების (კერძოს გარდა) საფინანსო ეკონომიურ საქმიანობას.

მუხლი 9. ა(ა)ი.პ-ის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. ა(ა) ი.პ-ის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილებით მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით.
2. ა(ა)ი.პ ლიკვიდაციის შედეგად ქონების განკარგვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 10. წესდებაში ცვლილებების შეტანის წესი

1. წესდებაში ცვილებების შეტანა ხორციელდება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ.